სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ' საქართველოს კანონის 43-44-ე მუხლებით, ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლით, სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით და აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურისთვის - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შ ეს ახ ებ" ბ სუ- ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით (გზამკვლევის დანართი 2) და დოქტორანტურის საფეხურისათვის - „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დ ამ ტკიც ებ ის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებ ით, წ ინამ დებარე გზამკვლევის დანართი 20).

1. ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების მიხედვით:

1.1. **სტუდენტს უფლება აქვს:**

ა) მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;

ბ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ბსუ-ს მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად შეიწყვიტოს ან შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი, ისარგებლოს მობილობით/შიდა მობილობით;

დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოებში;

ე) მიიღოს კონსულტაცია ბსუ-ს უფლებამოსილი პირისგან საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების თაობაზე;

ვ) მოითხოვოს ცოდნის ობიექტური/სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს გამოცდების შედეგები;

ზ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;

თ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

ი) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით გადავიდეს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე; საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულებისათვის, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართუ-ლებისათვის, გამოყოფილი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის დაფინანსების წლიური მოცულობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გადაიტანოს მაგის-ტრატურის სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას, თუ სწავლას გააგრძელებს იმავე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე ან პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებუ-ლებაში, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით გაერთიანებულია ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში;

კ) საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს წესდებისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად სახელმწიფოსგან, ბსუ-სგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

ლ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

მ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

ნ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;

ო) განახორციელოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

1.2. სტუდენტი ვალდებულია:

ა) შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები და ამ მიზნით, დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (დაარეგისტრიროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები) და შეასრულოს შესაბამისი საგნების სილაბუსებით გათვალისწინებული სამუშაო.

ბ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, შეინარჩუნოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობა.

გ) დადგენილ ვადაში გადაიხადოს ბსუ-ში სწავლის საფასური (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია).

დ) სისტემატიურად ისარგებლოს ,,სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემით", რომლის საშუალებითაც მიეწოდება მას უნივერსიტეტისაგან გაგზავნილი შეტყობინებები ან/და ინფორმაცია შესაბამისი სამართლებრივი აქტების თაობაზე;

ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს (განთავსდება უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/ კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე/უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge.) ან/და უნივერსიტეტის გაზეთში ,,ბათუმის უნივერსიტეტი").

ვ) ჯეროვნად შეასრულოს უნივერსიტეტის აქტებით, მოქმედი კანონმდებლობითა და სტუდენ-ტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები (ხელშეკრულების ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით).

2. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის თანდასწრებით გამოთქმული პირადი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელისთვის ცნობილი გახდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, აგრეთვე ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები. ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და მის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ ინახება განცალკევებულად (პირად საქმეში/სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში). სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შენახვისას ბსუ-ს ადმინისტრაცია ხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

3. **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის** ბსუ-ში დაწესებულია შეღავათები, მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად (მოქმედებს სპეციალური სოციალური პროგრამა, რომელშიც მონაწილე პირი თავისუფლდება ბსუ-ში სწავლის საფასურის გადასახადისაგან. გარდა ამისა ამ პირებისათვის შექმნილია შესაბამისი ადაპტირებული გარემო.

4. სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური ბსუ-ს სტუდენტებს ყოველდღიურად უწევს კონსულტაციებს.